პრობლემური ქცევა და ქცევის მართვის სტრატეგიები

პრობლემური/არასასურველი ქცევის იდენტიფიცირება

ქცევა მაშინ არის პრობლემური/ არასასურველი თუ ის:

- ხელს უშლის ბავშვს სოციალურ ურთიერთობებში;
- სახიფათოა თავად ბავშვისთვის ან სხვებისთვის;
- ხელის შემშლელია ბავშვის განვითარებისთვის;
- ის ხდება არასწორ ადგილას თუ დროს;

ქცევის შეფასებისა და მართვის ზოგადი პრინციპები

- ქცევათა უმეტესობა დასწავლილია და ემსახურება გარკვეულ მიზანს ან კონკრეტულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.
- თუ ბავშვი კონკრეტული ქცევით ვერ აღწევს მიზანს ის წყვეტს ამ ქცევას.

- როგორც სასურველი ასევე არასასურველი ქცევა ხორციელდება გარკვეულ კონტექსტში. ნებისმიერ ქცევას გააჩნია თავისი წინაპირობა და შედეგი, რის მისაღწევად ბავშვი იქცევა ასე და არა სხვაგვარად.

- ქცევა იცვლება სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ამ ფაქტორების შესწავლით და მათი მანიპულირებით შესაძლებელია ქცევაზე ზემოქმედების მოხდენა;

როგორ განვმარტოთ პრობლემური ქცევა?

ქცევის განმარტება არის პრობლემური ქცევის აღწერა მარტივი სიტყვებით, რომელიც არ შეიცავს შეფასებით სიტყვებს, მაგალითად, როგორიცაა „ცუდი" , „კარგი", „აგრესიული" და სხვა.

შეფასება: ნინო ბეჯითად მეცადინეობს

აღწერა: ნინო კითხულობს გვერდებს სახელმძღვანელოდან, აღნიშნავს წინადადებებს ტექსტში, აკეთებს მათემატიკის სავარჯიშოებს და სხვა.

როგორ განვმარტოთ პრობლემური ქცევა?

ქცევის აღწერა უნდა იყოს რაც შეიძლება ზუსტი. ბუნდოვანი აღწერა ან ზოგადი იარლიყი, როგორიცაა „აგრესიული ქცევა”, არ წარმოადგენს ქცევით განმარტებას.

ზოგადი აღწერა	ზუსტი აღწერა	ალტერნატიული ქცევა
ლევანი ინფანტილურია	დაძინებისას ლევანი ტირის	ლევანი არ ტირის ძილის წინ
ნიკა ჰიპერაქტიურია	ვახშმობისას ნიკა ტოვებს მაგიდას	ნიკა ვახშმობის დასრულებამდე მაგიდასთან ზის
ნინო გაღიზიანებულია	გაკვეთილებზე ნინო ყვირის და მაგიდიდან ყრის სასკოლო ნივთებს	გაკვეთილებზე ნინო ზის უსმენს მასწავლებელს
ქეთი ზარმაცია	ქეთის დახმარების გარეშე ჩაცმისთვის 1.5 საათი სჭირდება	ქეთი ერთ საათში დამოუკიდებლად იცმევს

შეკითხვა

როგორ ახდენთ პრობლემური ქცევის ანალიზს?

პრობლემურ ქცევაზე დაკვირვება

ყველა ქცევას აქვს:

- სიხშირე
- ხანგრძლივობა
- ინტენსივობა

ქცევის სიხშირე:

ქცევის სიხშირის დასადგენად, ჩვენ ვითვლით თუ რამდენჯერ ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა.

ქცევის ხანგრძლივობა

ქცევის ხანგრძლივობის დასადგენათ ჩვენ ვითვლით თუ რამდენ ხანს ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა.

ქცევის ინტენსივობა

ქცევის ინტენსივობის დასადგენად ჩვენ ვითვლით თუ რამდენად ძლიერ (როგორი ძალით) ვლინდება ჩვენთვის საინტერესო ქცევა;

ქცევის გამოვლენის კონტექსტი

ქცევა ყოველთვის გარკვეულ კონტექსტში ხორციელდება და სწორედ ამ კონტექსტის საშუალებითაა შესაძლებელი მისი მიზნებისა და შედეგების განსაზღვრა.

მაგ: კონკრეტული ქცევა – მარიამმა საღებავი დაღვარა – სხვადასხვაგვარად იქნება გაგებული იმის მიხედვით თუ სად მოხდა ეს ქცევა, მისაღებ ოთახში, ხალიჩაზე თუ სამუშაო ოთახში გაშლილ ქაღალდზე.

ამ კითხვებზე პასუხების გაცემა მასწავლებელს დაეხმარება განსაზღვროს ქცევის კონტექსი და წინაპირობა, რათა შემდგომში განახორციელოს ქცევის მართვის წარმატებული ინტერვენცია

1. რა პირობებში იქცევა ბავშვი ნეგატიურად და რა პირობებში პოზიტიურად?
2. როდის, რა პირობებში არ ვლინდება არასასურველი ქცევა?
3. ქცევა დღის რა მონაკვეთში ვლინდება და რა მოვლენები უსწრებს უშუალოდ მას წინ?
4. ხომ არ ვლინდება არასასურველი ქცევა უშუალოდ განსაზღვრულ ადამიანებთან დაკავშირებით?
5. ვლინდება თუ არა არასასურველი ქცევა იგივე პირობებში, მაგრამ სხვა გარემოებებში? (მაგ: სახლში, სკოლისკენ მიმავალ გაზაზე ან სადილობის დროს?)
6. დაკავშირებულია თუ არა ქცევა

კომუნიკიაციაში, სოციალურ ან

აკადემიურ მიღწევებში არსებულ პრობლემებთან?

.

ქცევის გამოვლენის კონტექსტი

ქცევა არ ხორციელდება ვაკუუმში. მის განხორციელებას აქვს გარკვეული წინაპირობა და აუცილებლად ახლავს გარკვული შედეგი.

წინაპირობა (წინმსწრები მოვლენა)	*ქცევა*	*შედეგი*

ქცევის წინაპირობა – ეს არის სტიმული (ნებისმიერი საგანი ან მოვლენა), რომელიც წინ უსწრებს კონკრეტულ ქცევას და რომლის საპასუხოდაც აღმოცენდება ეს ქცევა;

ქუჩაში შუქნიშნის წითელი შუქის ანთებისას მანქანები ჩერდებიან, ხოლო ადამიანები იწყებენ ქუჩაზე გადასვლას.

მანქანისთვის:

წინაპირობა:

წითელი შუქის ანთება



ქცევა:

მანქანის გაჩერება

ადამიანებისთვის:

წინაპირობა:

მანქანების გაჩერება



ქცევა:

ქუჩაზე გადასვლა

ქცევის შედეგი

მოვლენა/საგანი, რომლის მისაღწევადაც ადამიანი ანხორციელებს კონკრეტულ ქცევას და რომელსაც შეუძლია შეამციროს ან გაზარდოს მომავალში ამ ქცევის კვლავ გამოვლენის ალბათობა.

4 მიზანი, რომელიც არასასურველ ქცევას განსაზღვრავს:

- გაქცევა ან თავის არიდება;
- ყურადღების მიღება;
- მატერიალური ჯილდო;
- თვითდაჯილდოვება.

- კლასის მართვაში ყველაზე მნიშვნელოვანი ქცევის განმაპირობებელი მიზეზების სწორი იდენტიფიკაციაა.

- შესაძლებელია ერთი და იგივე ქცევა სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდეს.

გაქცევა/თავის არიდება

გაქცევის/თავის არიდების გამომწვევი მიზეზები:	ჩარევის შესაძლო სტრატეგიები
➢ დავალებების სირთულე; ➢ პრობლემები სოციალურ კონტაქტებში; ➢ პრობლემური სიტუაცია.	➢ დავალების გამარტივება; ➢ დავალების დაყოფა მარტივ ნაწილებად და ყოველი შესრულებული აქტივობის შემდეგ ბავშვისათვის დადებითი განმტკიცების მიცემა; ➢ ბავშვის წახალისება და განმტკიცება დავალების შესრულების მცდელობისთვისაც კი; ➢ გაქცევის ალტერატიული მისაღები ქცევის სწავლება. ➢ თანაკლასელებთან დადებითი სოციალური კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა.

ყურადღების მიპყრობა

მიზეზები	შესაძლო ჩარევა:
მოსწავლე ვერ იღებს ყურადღებას მასწავლებლისგან და თანაკლასელებისგან	• დაუთმეთ მეტი ყურადღება(თვალით კონტაქტი); • შეამცირეთ ყურადღება ნეგატიური ქცევის დროს; • ასწავლეთ ალტერნატიული და მისაღები ქცევებით ყურადრების მიპყრობა • გამოიყენეთ იგნორირება,როგორც ბოლო საშუალება.

თავი აარიდეთ ვერბალური მითითებების გამეორებას და ქცევის შეწყვეტას.

მატერიალური ჯილდოს მოპოვება

მიზეზები	შესაძლო ჩარევა:
▫ არ შეუძლია იმპულსის შეკავება; ▫ დასწავლილი აქვს სასურველი ნივთის მოცემული ქცევით მიღება.	• ასწავლეთ ალტერნატიული ქცევა სასურველი საგნის მისაღებად; • ასწავლეთ გადაავადოს თავისი მოთხოვნა. • ბავშვმა პრობლემური ქცევის შედეგად არ უნდა მიიღოს სასურველი საგანი და სასურველი აქტივობის განხორციელების შესაძლებლობა.

გაფრთხილება:

ბავშვმა არ უნდა მიიღს ის საგანი, რომელსაც დაჟინებით ითხოვს

თვითდამაჯილდოვებელი ქცევა

მიზეზები	შესაძლო ჩარევა:
▫ ბავშვი კომფორტულად გრძნობს თავს.	• შეწყვიტეთ ბავშვის ქცევა მისი დავალებში ჩართვით; • დაეხმარეთ ბავშვს სტერეოტიპული ქცევიდან სხვა მისთვის სასიამოვნო ქცევაზე ყურადღების გადატანით; • დააჯილდოვეთ, როცა პრობლემური ქცევა არ არის გამოვლენილი, ან შემცირდა.

თხოვნის ფორმულირება

I	II
- გიორგი, როცა მე ვხედავ, რომ შენ არ იწერ მაგალითებს დაფიდან და ხევ ფურცელს რვეულიდან,მე ვნერვიულობ,რადგან მინდა, რომ შეასრულო დავალება და ისწავლო ანგარიში. - გადაწერე დაფიდან მაგალითები და გამოიანგარიშე!	გიორგი შენ არ იწერ დაფიდან მაგალითებს და ხევ რვეულიდან ფურცლებს, რადგან გეშინია, რომ ვერ გამოიანგარიშებ მათ და თან გინდა, რომ დავალება კარგად შეასრულო. გგონია, რომ რვეულიდან ფურცლებს თუ ამოხევ მაგალითის გადაწერა არ მოგიწევს?

გიორგი ძირს აგდებს რვეულს,დგება ადგილიდან და იწყებს კლასში სიარულს

I ეტაპი

- განვსაზღვრავთ გიორგის ქცევის მიზეზს (ყურადღების მიპყრობა, გარიდება და ა.შ.);
- განვსაზღვრავთ რა მოთხოვილების დაკმაყოფილებას ცდილობს ან რა მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს;
- განვსაზღვრავთ იმ გრძნობებს, რომლებიც მას აქვს მოცემულ მომენტში;

II ეტაპი

- ვაკვირდებით ჩვენს გრძნობებს მის ქცევსთან დაკავშირებით;
- განვსაზღვრავთ რა მოთხოვნილებას ვერ ვიკმაყოფილებთ მისი ქცევის გამო;
- ვაკეთებთ იმ სასურველი ქცევის ფორმულირებას, რომელიც არსებულ სიტუაციას გააუმჯობესებს.

გიორგი შენ დააგდე რვეული და დაიწყე სიარული კლასში, რადგან არ გინდა დაფიდან მაგალითების გადმოწერა? გაბრაზებული ხარ ფიქრობ, რომ ეს დავალება რთულია და ვერ შესძლებ მის გაკეთებას?

მე ძალიან გულნატკენი და მოწყენილი ვარ შენ როცა დავალებას არ აკეთებ, იწყებ კლასში სიარულს. მე მინდა, რომ კლასში იყოს სიჩუმე და ყველა დავალებას აკეთებდეს.

გთხოვ დაჯექი მერხთან და სცადე მაგალითის გადაწერა. თუ არ გამოგივა არაუშავს! დამიძახე და მე დაგეხმარები! თავიდან არავის არ გამოსდის. თუ იმეცადინებ შეძლებ მაგალითების უშეცდომოდ გადაწერას!

ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები

ქცევის ანალიზი და მართვა

- იმ პრობლემური ქცევის დიფერენცირება, რომელიც საჭიროებს ცვლილებას.

- პრობლემური ქცევის ზუსტი აღწერა/ფორმულირება
- მისი ხანგრძლივობის, გამოვლენის სიხშირისა და ინტენსივობის განსაზღვრა,დაფიქსირება);
- განსაზღვრა თუ სად, როდის და ვისთან ვლინდება პრობლემური ქცევა.
- წინმსწრები მოვლენის განსაზღვრა;
- მიღებული შედეგის განსაზღვრა(ქცევის სავარაუდო მიზნის/ფუნქციის განსაზღვრა);
- იმ სასურველი,ალტერნატიული ქცევის განსაზღვა,რომლითაც შესაძლებელია მიუღებელი ქცევის ჩანაცვლება.
- პრობლემური ქცევის მართვა მისი წინმსწრები მოვლენის შეცვლით ან ქცევის შედეგში ცვლილების შეტანით.

ქცევის განმტკიცება

განმტკიცება არის პროცესი, როცა ქცევა ძლიერდება მისი უშუალო თანმდევი შედეგების გამო – ეს შედეგი უშუალოდ თან ახლავს ქცევას და ქცევის გაძლიერებას უწყობს ხელს



განმტკიცება არსებობს ორი სახის:

- დადებითი - სასიამოვნო სტიმულის დამატება (ექსკურსია, სტიკერები, არჩევანის შესაძლებლობა)
- უარყოფითი - დამსჯელი ან უსიამოვნო სტიმულის მოშორება (არ გაშვება დასვენებაზე, ტაიმ-აუტი, სოციალური სანქცია–დაალაგოს ოთახი).

განმამტკიცებლის სახეები:

- **კვებითი** - ბავშვისათვის საყვარელი ნებისმიერი საკვები.
- **მატერიალური** - საჩუქრები, სათამაშო ან მისთვის სასურველი ნივთი (მაგ: ველოსიპედი).
- **აქტივობითი** -ექსკურსიაზე ან თეატრში წაყვანა.
- **გადაცვლადი** - ნიშანი, სტიკერები, ჟეტონები და ა.შ
- **სოციალური** -შექება, ღიმილი, თავზე ხელის გადასმა და ა.შ

ბავშვის სწავლის პროცესში

- განსაზღვრეთ რა არის მოსწავლისათვის დამაჯილდოვებელი ანუ ქცევის განმამტკიცებელი. რისი გაკეთება მოსწონს მოსწავლეს?
- შეარჩიეთ ის ჯილდო, რომელსაც მიიღებს ბავშვი ინსტრუქციის შესრულებისა და სასურველი ქცევის განხორციელების შემდეგ.
- განსაზღვრეთ სად და ვინ მისცემს მას არჩეულ ჯილდოს;
- დაყავით შესასრულებელი სამუშაო პატარ-პატარა ნაბიჯებად. დააჯილდოვეთ ბავშვი ყოველი პატარა დავალების შესრულების შემთხვევაში.
- თანდათან გაზარდეთ იმ დავალებების რაოდენობა, რომელთა შესრულების შემდეგ უნდა მიიღოს ბავშვმა თავისი ჯილდო.

ქცევის განმტკიცება

- არ შეპირდეთ ისეთ ჯილდოს, რომლის მიცემაც არ შეგიძლიათ ან რომელსაც მისცემთ დავალების წარუმატებლად შესრულების შემთხვევაშიც.
- დააჯილდოვეთ ბავშვი მაშინვე რაც შეასრულებს დავალებას;
- შეახსენეთ არსებული ჯილდოს შესახებ. მიეცით უფლება აირჩიოს ორი ალტერნატივიდან შეცვალოს არასსასურველი ქცევა სასურველით და მიიღოს ჯილდო ან წინააგმდეგ შემთხვევაში დარჩეს ჯილდოს გარეშე.
- იყავით თანმიმდევრულნი და არ შეცვალოთ მიღებული გადაწყვეტილება.
- როცა პრობლემური ქცევის გამოვლენის გამო იძულებული ხართ ბავშვი დატოვოთ ჯილდოს გარეშე,ეცადეთ მისცეთ დამატებითი მარტივი დავალება, რაც ბავშვს საშუალებას მისცემს გამოასწოროს თავისი მდგომარეობა და დაიბრუნოს შეპირებული ჯილდო.

განმამტკიცებელი-ბუნებრივი და არაბუნებრივი წახალისება

ხშირად ბავშვები თავდაპირველად მოტივირებულნი არიან გარეგანი ჯილდოსკენ- საკვები, სათამაშო;

შემდეგ სურთ ემოციური ჯილდო-შექება, ნიშანი;

ბოლოს შინაგანი აღიარება-სიამაყის განცდა, თვითდაჯერებულობა, კმაყოფილება.

მატერიალური ჯილდოს მიღებისას წარმოშობილი პრობლემების თავიდან აცილება

- დააწყვილეთ მატერიალური ჯილდო სოციალურ აღიარებასთან და თანდათანობით შეამცირეთ მატერიალური ჯილდოს გამოყენება;
- მატერიალურ ჯილდოს თან უნდა ახლდეს ვერბალური აღიარება;
- ჰკითხეთ თავად მოსწავლეს თუ რატომ დაიმსახურა ჯილდო.

დაგეგმილი იგნორირება

- არის ქცევის იგნორირება ანუ ყურადღების არ მიქცევა, რომელიც განსაზღვრავს ქცევის გამოვლენის სიხშირის, ინტენსივობის ან ხანგრძლივობის შემცირებას – ჩაქრობას.

შექება

შექება მიმართულია სასურველი ქცევის გამოვლენის დაფიქსირებაზე, ყურადღების მიქცევაზე და ამ ქცევის გამოვლენის გაზრდას ემსახურება.

რა არის დასჯა?

დასჯა არის შედეგი, მაგრამ არა ბუნებრივი შედეგი, რამდენადაც ის გამოწვეულია სხვა პიროვნების მიერ.

დასჯა

- ხანმოკლე იზოლაცია
- დირექტორთან დაბარება
- გარკვეული პერიოდის მანძილზე სკოლიდან დათხოვნა
- მშობლის ინფორმირება

- გამოიყენეთ დასჯის მეთოდი მხოლოდ მძიმე
- დარღვევებისას- ქცევისას, რომელიც საფრთხეს უქმნის
- თავად მოსწავლეს და სხვებს.

ზეკორექცია

დასჯის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

- ის ეფექტურია, რადგან არ აქვს დასჯის უარყოფითი მახასიათებლები. ბავშვი რძის სმისას რძეს იატაკზე ღვრის. ზეკორექციის გამოყენების შემთხვევაში ჩვენ მას მოვაწმენდინებთ სამზარეულოს იატაკს მას შემდეგ, რაც იგი დაღვრის რძეს.

ამ პროცედურაში ხაზი ესმევა იმას, რომ არასასურველი ქცევის გამოვლენის შედეგად, ამ ქცევის განმახორციელებელს უხდება რაიმე უსიამოვნოს კეთება

არსებობს ზეკორექციის პოზიტიური კორექციის პროცედურაც

- ბავშვი წერს კედლებზე. ამის შედეგად მას ვსვამთ და ვაწერინებთ ფურცლებზე;
- ბავშვი აფუჭებს წიგნებს – მას ვაკითხებთ წიგნებს;

ზეკორექციის გამოყენების წესები

- ზეკორექციის პროცედურა გარკვეული ლოგიკით დაკავშირებული უნდა იყოს არასასურველ ქცევასთან. ბავშვი აფურთხებს იატაკზე – ბავშვი წმენდს იატაკს. ბავშვი ამოხევს ფურცელს – ბავშვი აწებებს ფურცელს;
- ზეკორექციის გამოყენება ხდება უშუალოდ არასასურველი ქცევის შემდეგ;
- ზეკორექცია წარმოადგენს დასჯის ფორმას. ამიტომაც შეეცადეთ არ გამოხატოთ ბავშვის მიმართ სითბო; ამ პროცესის დროს არ მისცეთ ჭამის და მეგობრების გარემოცვაში ყოფნის საშუალება;
- ზეკორექციის პროცედურაში ჩართული უნდა იყოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც განახორციელა არასასურველი ქცევა. ეს პროცესი არ გადააქციოთ თამაშად და არ ჩარიოთ სხვები მისახმარებლად;

დასჯის მეთოდებისა და ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიების შედარება

დასჯის პროცედურები	ქცევის პოზიტიურად მართვის სტრატეგიები
▪იწვევს ქცევის სწრაფ შეწყვეტას ▪ ასწავლის მოსწავლეებს რა არ უნდა გაკეთდეს ▪ ამცირებს დადებით დამოკიდებულებას სკოლისა და სასწავლო პროცესის მიმართ ▪ იწვევს პროტესტის გრძნობას და თავის არიდებას ▪ იწვევს აგრესიას ▪ ასწავლის მოსწავლეებს დამსჯელობით ქმედებებს ▪ შესაძლოა ზიანი მოუტანოს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობებს	▪თანდათანობით ამცირებს არასასურველი ქცევის ალბათობას ▪ ასწავლის მოსწავლეებს რა უნდა განხორციელდეს ▪ ზრდის დადებით დამოკიდებულებას სკოლისა და სასწავლო პროცესის მიმართ ▪ ზრდის თანამონაწილეობას ▪ ამცირებს აგრესიის ალბათობას ▪ ასწავლის მოსწავლეებს ყურადღება დადებით მხარეებს მიაქციონ ▪ ამყარებს და აუმჯობესებს მოსწავლე-მასწავლებლის დამოკიდებულებას

საკლასო რუტინა



რუტინა ესაა პროცედურათა თანმიმდევრობა, რომელიც ასახავს დღის განმავლობაში მოსალოდნელ აქტივობებს



- მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკლასო რუტინა და პროცედურები;

- საკლასო რუტინის გაცნობისა და ათვისების შემდეგ, მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი განხორციელება მასწავლებლისგან დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით.

დადებითი მხარე

- მოსწავლე ფლობს ინფორმაციას თუ რა არის დაგეგმილი,რას მოელიან მისგან და რა არის მისაღები ქცევა;
- საკლასო გარემო ხდება უფრო სტრუქტურირებული;
- იზოგება დრო და ენერგია;
- მცირდება პრობლემური ქცევა-ბავშვს უვითარდება თვითკონტროლის უნარი.

იმისათვის, რომ საკლასო რუტინა ეფექტური იყოს:

- მოსწავლემ უნდა იცოდეს თუ რა აქტივობებია საკლასო გარემოში მასწავლებლის და მისი მხრიდან მოსალოდნელი;
- მუდმივად წახალისდეს რუტინის შესრულება;
- მასწავლებლისა და მოსწავლეების შეთანხმების საფუძველზე უნდა განისაზღვროს რუტინის დაცვისა და მისი დარღვევის შედეგები.

რუტინის განსაზღვრისას დგება წესების შემუშავების საკითხი.

- წესების შემუშავება:

- ქცევის წესების ჩამოყალიბება და მათი სწავლება უბდა მოხდეს სასწავლო წლის დასაწყისში

- მცდარია მოსაზრება, რომ ბავშვებმა იციან როგორ მოიქცნენ სკოლაში.

- მოსწავლემ უნდა იცოდეს რა შედეგები მოჰყვება წესების შესრულებას და რა დარღვევას. ჩართეთ მოსწავლეებ შემუშავებაში (არ მისცეთ მზა წესები);

- შეარჩიეთ წესების ჩამონათვალი და რაოდენობა (მაქსი

- წესები უნდა იყოს კონკრეტული და ნათლად ჩამოყალ

- წესები პოზიტიურად უნდა იყოს ფორმულირებული;

- გამოფინეთ წესები კლასში თვალსაჩინო ადგილას.

წესების დაცვის რეგულირება

- წახალისება/განმტკიცება-არის ობიექტი ან მოქმედება,რაც მოყვება კონკრეტულ ქცევას და ინარჩუნებს ან ზრდის მისი გამოვლენის ალბათობას;

- სასჯელი-არის ობიექტი ან მოქმედება, რომელიც მოყვება კონკრეტულ ქცევას და ამცირებს მისი აღმოცენების სიხშირესა და ინტენსივობას.

წესის დარღვევაზე რეაგირება შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

I წესის შეხსენება
II მკაცრი გაფრთხილება
III დასვენებაზე კლასში დარჩენა
IV კლასისგან იზოლაცია
V მშობლის დაბარება

ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები/წესების დაცვა

დადებითი/სასურველი ქცევის განსამტკიცებლად გამოიყენეთ ირიბი წახალისების მეთოდი- აქცენტის გადატანა ბავშვის არასასურველი ქცევიდან სხვა ბავშვების სასურველ და შესაბამის ქცევისკენ. “ ქეთი და ეკა ხელს იწევენ როდესაც პასუხი იციან, ასე გააკეთე შენც, გიო”

- მიუთითეთ არა მხოლოდ ქცევის შეწყვეტის აუცილებლობაზე, არამედ იმაზე თუ როგორ უნდა შეცვალოს ის: “გიო, დაამთავრე წერა და მომეცი რვეული”
- ნეგატიური ქცევის განხორციელებისას აქცენტი გადაიტანეთ სხვა მის მიერ განხორციელებულ პოზიტიურ ქცევაზე და გამოიყენეთ წახალისება;
- წაახალისეთ ბავშის მიერ სასურველი ქცევის განხორციელების მცდელოა-მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ძალისხმევას;
- გააგრძელეთ თქვენი მოთხოვნის გახმოვანება, სანამ მოსწავლე არ შეასრულებს მას. არ დაკარგოთ სიმტკიცე.
- კლასის ყველა საგნის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს არასასურველ ქცევაზე რეაგირების ერთიდაიგივე სტილი;
- გამოიყენეთ “სენდვიჩის” ტექნიკა-პოზიტიურ რეპლიკებს შორის შენიშვნების მიწოდება

კომენტარის გაკეთებისას არ გამოიყენოთ შემდეგი:

- შეკითხვა რატომ? (რატომ ყრია შენი წიგნები დაბალა?);
- სიტყვა, მიმართვა "შენ" (შენ ზარმაცი ხარ!)
- სიტყვა და უარყოფა "არა" ("არ ირბინო");
- ლექციის წაკითხვა, დიდაქტიკა; - მოკლე, მარტივი შეტყობინების მიწოდება " დავით, ქურთუკი დაგრჩა"
- დირექტიული შეტყობინებები რბილი მინიშნებების ნაცვლად; ინფორმაციის რაოდენობა (მაგ: ნინო თუ გიორგის ფანქარს გატეხავ გიორგი აღარ მოქცემს თავის ნივთებს);
- თავად ბავშვის შეფასებები მისი ქცევის შეფასების ნაცვლად. (ცუდი ბიჭი ხარ ნაცვლად ცუდად იქცევი)
- აღნიშნეთ პრობლემა- მოსწავლემ თავად გადაჭრას პრობლემა. (საღებავი დაიქცა, რა უნდა გავაკეთოთ?- ხელსაწმენდი თაროზეა)

დამატებითი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სამუშაოდ:

- ნუ მოიხსენიებთ ბავშვს როგორც აუტისტს ან ჰიპერაქტიურს. მოცემული ცნებები დაავადებების დასახელებებია და არა ბავშვების.
- განიხილეთ მშობლებთან მათი კონკრეტული პრობლემები.
- არ განიხილოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ბავშვის ქცევა მათი ან მათი თანაკლასელების თანდასწრებით;
- მოერიდეთ ყურადღების მიქცევას მხოლოდ პრობლემური ქცევის შემთხვევაში;
- ნუ ეკითხებით, აუხსენით.
- დაელოდეთ პასუხს, ნუ დაამატებთ ახალ კითხვებს,ინფორმაციას.
- კითხვები და მოთხოვნები სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქვით;

- არავითარ შემთხვევაში არ ჩათვალოთ, რომ განსხვავებული მიდგომა ერთი და იმავე დარღვევაზე უსამართლოა!

- ✓ თავდაპირველად აუცილებელია იმის გარკვევა თუ რა ტიპის რეაგირება მუშაობს ეფექტიანად თვითოეულ მოსწავლეზე.
- ✓ მსგავსი მოპყრობა უარყოფს ბავშვებს შორის სხვაობას და მათ ინდივიდუალობას.
- ✓ ერთი და იმავე დასჯისა და წახალისების სტრატეგია მათზე უარყოფითად მოქმედებს.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის!



გამოყენებული ლიტერეტურა:

”ინკლუზიური განათლების პრინციპები”თ.გაგოშიძე, თ.ჭინჭარაული, ქ,ფილაური,მ.ბაგრატიონი

"ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები", თ. გაგოშიძე